



გენალტი
საინჟინერო-სამშენობლო

მისამართი: 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართული
ტელეფონი: (+995 32) 222 38 74 / 229 27 73
ფაქსი: (+995 32) 222 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

04/09/01-159
23 დეკემბერი, 2014

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ-ის გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს ბატონო გივი

ბატონო გივი,

როგორც მოგეხსენებათ, „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორპუნქტის) კონვენციის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, კონვენციის პირველ დანართში ჩამოთვლილ საქმიანობებზე (მათ შორის, წიაღითსარგებლობაზე - დანართის 16 პუნქტი) მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისას, სააგენტო ვალდებულია იხელმძღვანელოს მე-6 მუხლის 2-9 პუნქტების დებულებებით და უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების ეფექტური ჩართვა და მონაწილეობა.

შესაბამისად, კონვენციის ზემოხსენებული ნორმისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, ჩაგვრთოთ შპს RMG Gold-სათვის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში.

გთხოვთ, გადმოგვცეთ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში განსახილველი სრული დოკუმენტაციის ასლი და გვაცნობოთ ადმინისტრაციული წარმოების ვადები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი